მეორე ადგილი

ნიკოლოზ სამადაშვილი

ქ. თბილისის 67-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე

”სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი”

”ნუთუ არ იცით, რომ ვისაც თქვენ თავს მისცემთ მონებად მორჩილებისთვის, მისი მონები ხართ, ვისაც თქვენ დაემორჩილებით: ან ცოდვისა სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა სიმართლისათვის”... ვკიტხულობდი პავლე მოციქულის ამ წერილს, რომაელთა მიმართ და თითოეულ სიტყვას ჩავუფიქრდი; თაროდან სულხან-საბას ”სიტყვის კონა” გადმოვიღე, საინტერესოდა აქვს განმარტებული დიდებულ ლექსიკოგრაფს ”მონა” – ”ნასყიდი ვაჟი, გინა ნამზითვი კაცი”, ანუ კაცი, რომელმაც თავისი ნებით, უფლის მიერ ნაბოძები თავისუფლების სანაცვლოდ, სხვას ემონა, ღვთის საწინააღმდეგო მოქმედებით დაარღვია ერთობა უფალთან, გაუკუღმართდა და ცოდვისკენ მიიდრიკა, პირადული ეგოისტური მიზნებისთვის სამსხვერპლოზე მიიტანა თავისი უფლება?” გადიდკაცდა, თავაშვებული, ყოველდღიური ცხოვრების სიამტკბილობაში ”ჩაეშვა”...?! იქნებ ჰგონია, რომ მხოლოდ დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქეობაა თავისუფლება და მონობაში გადიდკაცებულმა ამქვეყნიური კეთილდღეობის სიხატულით იცდუნა თავი, შესაბრალისი გახდა, რადგან არ ეყო ძალა, დაცემული ბუნების დასაძლევად, თვითნებური ქმედებით იცხოვრა ღვთის გარეშე და გახდა ბოროტების მსახური...

და ეს ”ნასყიდი კაცი” შეუდგა ამპარტავნების ზრდას, თავის თავში. მას ჰგონია, რომ ის არის ”მართალი”, ”საზომი ჭეშმარიტებისა” და ზოგადად ყველაფრისა. ამ უბადრუკმა კი არ იცის, ან არ ახსოვს, რომ ის ამქვეყნად თავისი ნებით არ მოსულა და ვერც თავისი ნებით წავა ამქვეყნიდან, საუკუნო საცხოვრისში და, რაკი არ იცის, ვერც იმაში გარკვეულა, როგორ თვალსა და ხელს შუა გაუქრა სრულიად სიყვარული უფლისა, მოყვასისა და ყველა ქმნილებისა, საკუთარი თავის გარდა აღარავინ ახსოვს, არც მოყვასი თვისი და არც მამული, ეს - სულიერი სიკვდილია.

... და ეს მაშინ, როცა მრავალნი სიკვდილს არჩევენ, ვიდრე ”განისყიდონ თავისუფლება”, ვიდრე თავი თვისი ”თავად ეყუდნოდეს”, მრავალნი სულიერი სიფრთხილით არიან, მათი საზომი ცხოვრებისა და ღირსებისა - ღვთის სიტყვაა. სწორედ ასეთნი არიან, ვინც ირჩია გზა ილია მართლისა, მაგრამ ქვეყნად მაინც მრავლად არიან, ვინც კაენის გზას შესდგომია, დავიწყებია შეგონება სულმნათი ვაჟა-ფშაველასი - ”გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!”

გაეცისკროვნეთ და ვეძიოთ გზა თავისუფლებისა, გზა სიმართლისა, თავისუფლებას კი, დღეს ისე დავეწაფოთ, ვით დაჭრილი ირმების გუნდი - წყაროს; ანკარას; ვიგემოთ ნაყოფი სიმართლისა, რომ ბოლო ჩვენი იყოს მარადიული სიცოცხლის შესამოსელი. ვერ გვძლიოს მტრის ოქრომ, ვერც მისმა მკაცრმა ბრძანებამ; შევძლოთ ”სამშობლოს ოხვრისთვის” დავნთხიოთ წმინდა სისხლი, რადგან ”სჯობს მონობაში გადიდკაცებულს - თავისუფლების ძებნაში მკვდარი” - ბრძანა სულმნათმა აკაკიმ და ”სიტყვა გადაგდო ერშია”... მრავალმა ისმინა მგოსნის; ტანჯვად

განემზადნენ მამულის ერთიანობისა და თავისუფლებისთვის და მრავალმა ჩვენგანმაც ”განვახუნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩუენთანი”...